



(შემდეგი)

ზეზანი. 61, შაჰრადი. 7 კომლი. 62, შაჰრადი. 3 კომლი. 63, შაჰრადი. 20 კომლი. აქ მესხნი დასახლებულან 1829 წ.

64, ჯაგა. 6 კომლი. ზემონსენებულ სოფლებს თავიანთი ეკლესიებიც ჰქონიათ, დღეს აღარაფერი სჩანს.

65, ალაქ. 20 კომლი. აქ არის ნასაყდრალი, ნანგრევების ქვები ბევრია. აქაი სოფლის სახლის ბუნრებშია ცხადი კაცი ისეთს ქვებს, რომლებსაც ხუტური წარწერა აქვს.

66, მუგაძე. 20 კომლი. ნასაყდრალი არის.

67, წიწკარა. 25 კომლი. ნასაყდრალზე ჯამე გაუკეთებიათ. აქ ყოფილან აზნაური წინწკარაშვილები. აღობა მიუღიათ და თათრულად იწოდებოდნენ.

68, სტეფანეშვილები. 30 კომლი. ამბობენ, რომ ეს სოფელი ერთობ გვიან გათათრდა. სხალტზე, ფურტიოსა და ფორხხაზე ბევრად გვიან. აქ ეკლესიის ქვებიც არის.

69, ტუნაძე. 15 კომლი. აქ გადმოსახლებულან 1829 წ. მესხეთიდან.

70, ანკუაძე. 20 კომლი. აქ ამ სოფლებთან ლორჯომის წყალზე არის ერთი პატარა ქვის ძველი ხიდი, რომელსაც თამარ-მეფის ხიდი უწოდებენ. ამ სოფელში ირემბეებიც ცხოვრობენ, ესენი ამბობენ, რომ ჩვენი ძველები თამარ-მეფის დროს ირმის ჯოგის მომვლენი ყოფილან. აზნაურობა ამათ გათათრების დროს ქრისტიანობის გამო დაუკარგავთ.

ამ სოფლის ზემოდ დიდი აქარის ხეობა, ტყით, ხილით შემოკობილი, მოსავლიანი, წყლით უზვი.

71, შაჰაძე. 20 კომლი. კოშკი ჰქონიათ ამათ ძველად. ნაკოშკარიც არის.

72, ხოსთაშვილები. 13 კომლი.

73, გუბაძე. 13 კომლი. ამ სოფლებს შუა ერთი კარგი ეკლესია მდგარა ძველად, ახლა აღარაფერი სჩანს.

ამ სოფლებს აღმოსავლეთით მოკცება არგინეთის მთები და მის წინ ხულის ხეობა.

74, ყადაღაძე. 13 კომლი. სოფელი იხ. „ივერია“, № 218.

საგზოს მართვა

ორშაბათს, 11 ოქტომბერს, იყო კრება ქალაქის საბჭოსი. კრებას განსახილველი ჰქონდა, სხვათა შორის, ორი საჩივარი საგზის, რომელმაც მიიზიდა დიდძალი მკურებელი ხალხი, ასე რომ საბჭოს „გაღერეაზედ“ ტევა არ იყო და ბევრი ნაწილი საზოგადოებისა იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო უადგილობრისა გამო. პირველი საგანი იყო წინადადება ხმ. ევანგელოვისა იმ სარჩიელის თაობაზედ, რომელიც ხმ. შაჰაზიზოვმა მისცა საბჭოს და უკანვე გაიტანა, სახელდობრ სარჩიელი მასზედ, რომ საბჭომ აღრესი მიართვას მოურავად ნამყოფს ქალაქისას თავ. ნ. ვ. არლუთინსკი-დოლოგორუკოვს და სთხოვოს მას, რომ კვლავ იკისროს ქალაქის მოურავობა. ხმ. შაჰაზიზოვის სარჩიელში ნათქვამი იყო, რომ უკეთეს თავ. არლუთინსკი-დოლოგორუკოვი არ იკისრებს მოურავობას, მაშინ ქალაქი შეიძლება ისეთი კაცებს ჩაუვარდეთ ხელში, რომელნიც კეთილსამედნი არ არიან. აი ამ სიტყვებმა გამოიწვია წინადადება ხმ. ევანგელოვისა. თავიჯდომარემ სიტყვა მისცა ხმ. ევანგელოვს განსამარტებლად ამ წინადადებისა. ამ დროს წამოადგა ხმ. შაჰაზიზოვი და ითხოვა ორიოდ სიტყვის თქმა, ვიდრე ხმ. ევანგელოვი განმარტავდეს თავის სათქმელსაო.

ხმ. შაჰაზიზოვი. საბჭომ იცის, რომ ჩემი სარჩიელი უნდა განეხილა ამას წინადადებას კრებას, მაგრამ რაკი მე მთხოვეს ჩემის სარჩიელის უკანვე წადება, მეც კეთილშობილურად უარი ვუყვი ამ სარჩიელის განხილვისა. ესლა მეცა ვთხოვ ხმ. ევანგელოვს, რომ ამანაც თავისი წინადადება კეთილშობილურადვე უკან წაიღოს. ამას ვთხოვ იმიტომ-კი არა, რომ მეწინოდეს ჩემის მოქმედების განხილვისა. სულაც არა. მე მხოლოდ ვურჩევ ნუ მათქმევინებს ყველა იმსა, რამაც გამოიწვია ჩემი სარჩიელი. აასრულებს ხმ. ევანგელოვი ჩემს თხოვნას, ხომ რაკ კარგი, არა და მერე მეც ჩემსას ვიტყვი.

ხმ. კვანჭულაძე. ყოველად შეუძლებელია ამ თხოვნის აღსრულება. ხმ. შაჰაზიზოვი თავის სარჩიელში ხმაობის ისეთს სიტყვებს, რომელიც ჩირქსა სდებს ქალაქის თვით-მართ-

ვაზეთების შემწეობით მთელ ქვეყანას ვაძწროთო, მაგრამ რამდენჯერაც ის ფეხშიშველი დედაკაცი მოგვაგონდებოდა, იმდენად ეკარგებოდა ჩვენს მგზავრობას მწიფეწელობა.

ამ ერთის თვის წინადაც ორი ინგლისელი ავიდნენ აბულზე და მესამე დღეს ახალქალაქიდან ყარსისკენ გაემგზავრნენ არარატზე ასასვლელად.

აბულის მთა ახალქალაქის მახრისთვის ნამდვილი ბარომეტრი არის. ამიტომ დღეს დილით რომ მგზავრობა დაეპირეთ, უწინ აბულს შევხედეთ — ენახოთ როგორი ტაროსი დაგვიდგებაო. სოფ. არაგვს რომ მივატანეთ, მაშინაც აბულს შევხედეთ და ჩრდილოეთის მხრივ პატარა თოვლის ზოლი შევნიშნეთ ხრამში ჩამალული. ამბობენ, მაგ ალაგს აბულს საყინულე აქვსო. ზედ აბული წვერზედ-კი სპეტაკი ღრუბლის სვეტი იდგა რაღაც უცნაურის ფორმისა. გზამ ზედ სოფ. არაგვზე გაგვატარა. საიდგან მიუღია ამ სოფელს

გაზეთების შემწეობით მთელ ქვეყანას ვაძწროთო, მაგრამ რამდენჯერაც ის ფეხშიშველი დედაკაცი მოგვაგონდებოდა, იმდენად ეკარგებოდა ჩვენს მგზავრობას მწიფეწელობა.

აქ ჩაის პლანტეცია გაშენდეს. თავად ვიაზემსკის თან ახლდა ჩაის გაშენების მცოდნე სპეციალისტი რომელიც უთქვამს, რომ ჩაქვი სწორედ ისეთი ბუნებაა, როგორც ჩინეთის იმ ადგილებში, სადაც ჩაი ჰხარობს; ცოტა-კი ნესტიანია აქაური ჰავა, მაგრამ ამასაც ადვილად მოეწეებაო. ამ რიგად მოსალოდნელია, რომ საუფლისწულო ქონებათა სამმართველო მალე შეუდგება ჩაის გაშენებას ჩაქვიში.

\* \* \* ს. მ. უნრანი: ამას წინადაც რალაც-კირი გაჩნდა საქონლისა. თავად ივანე მუხრან-ბატონს 16 კამბეჩი მოუყვდა. კამბეჩს ისე არა ეტყობა-რა და ერთბაშად ვალებს პირსა და უსულოდ დაეცემა. ძალიან ცუდი საქმე მოუვიდოდა თ. მუხრან-ბატონს, ერთა აქაური კაცი, რომ არ გამოჩენილიყო, რომელსაც ამ უცნაურ ქირის წამალი სცოდნია. თურმე ყელში იარა უნდებოდა კამბეჩს და საკმარისია გამოერწყოს, რომ სრულიად განიკურნოს. ამ რიგად ბევრი კამბეჩი მოარჩინა ამ კაცმა. ამ სენს აქ კამბეჩის ყვაილს ეძახიან.

\* \* \* ს. ახალ გორი: წელს ვერაფერი მოსავალი იყო ჩვენში. ჯერ იყო და მისში ისეთი სეტყვა მოვიდა, რომ, — ძნელი დასაჯერებელია — თითო ერთს გირვანქას იწონდა. ნათესი და ვაზი სულ განადგურა. სეტყვა იმ სიდიდით იყო, რომ საქონელიც-კი დახოცა. მერე ამინდიც ცუდი დაგვიდგა და მოსავალზედ სულ ხელი აგვადებინა. მთის ფერდობები აქ სულ თოვლით შეიმოსა.

\* \* \* გ. რაჭა: 11 ოქტომბერს, დამის 11 საათზე, ლიანდაგის ახლო იპოვნეს ძლიერ დაშავებული კაცი. ვინაობა ამ კაცისა არ იციან და არც ის იციან, რომელ მატარებლიდან გადმოვარდა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

შეცდომის განხილვა. ივრიის 214 ნომერში დაბეჭდილი იყო სია შეწირულობათა ბათუმის სკოლის შენობის სასარგებლოდ. ამ წერილს ქვეშ ეწერა შეცდომით: კომიტეტის საქმის მწარმოებელი ივანე გულაგი; უნდა ყოფილიყო: ივანე მესხი.

ბაღოს რამე, რომ დაკმაყოფილოს თავისი ოცნება. — ხომ მოგეხსენებათ, კაცი რაც უნდა განათლებული იყოს იმ ბუნებითვე დაყოლილ სისუსტეს ძნელად მოიშორებს ხოლმე, რომელიც ყველგან სდევნის და ეჩიინება, ეცადე შენი სახელი საუკუნოდ არ ამოიფხვრასო და ჩვენც ამ მთაზე ის ვიფიქრეთ, იმისთანა კლდე მოვანახეთ, რომ მგონი ათასი საუკუნე გასძლოს და აი ამ კლდეზე დაესწერეთ თარიღი და ჩვენი სახელი და გვარი. მეღნის მაგივრად საგანგებო მომზადებული ზეთიანი წითელი წამალი გვქონდა. თუმცა ასე შორს ვლამოდით განჭვრეტას, მაგრამ კუქმა მაინც თავისი მოითხოვა და სასადილოდ გატენილ ხურჯინს მგლებივით მიეცვივდით. ხურჯინი დავცალიერედ და თავქვე დავეშვით.

სახსოვრად მებ-დაცემული ქვები წამოვიდეთ და ამითი გათავდა ეს ჩვენი გამოჩენილი მგზავრობა. წინადაც გვქონდა გადაწყვეტილი, როცა შეიღობიანად ავალთ და ჩამოვალთო,

სოფლით მოისმინა ქართული საეკლესიო ვალობა პაწაწიკტელებისა. წირვის შემდეგ — ამით მასწავლებლების ხელმძღვანელობით ათავალ-ჩაათვალიერეს სოფელი და გაემგზავრნენ პირდაპირ თავ. ივანე მუხრან-ბატონის მამულში, სადაც უცდიდა განგებ ტფილისიდან ამ დღისათვის ჩამოსული თ. კ. ი. მუხრან-ბატონი. თავადი გაუძღვა მასწავლებლებს და მოწაფეებს, გააცნო ყველაფერი, რაც რამსაყურადღებო იყო მის შესანიშნავ მამულში. თავადმა ეს არ აკმარა თავის პაწაწინა სტუმრებს — უმასპინძლა კიდევ მშვენიერის სადილით, რომლის დროსაც თავადი თვითონ დასტრიალებდა თავს და აღტაცებაში მოდიოდა მათის სიძღვრით და მხიარულის მდგომარეობით. — არც მასწავლებლები დარჩენილან უყურადღებოდ; ამათაც მშვენიერად გაუმასპინძლა პატრეცემული თავადი. 4 საათზედ კი ბავშვები დიდის მადლობის ვაღახდით გამოვიდნენ დღომიდან და მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავის ბინაზედ.

\* \* \* გუშინ ტფილისის მოქალაქემ რაბინოვიჩმა პოლიციას გამოუცხადა, რომ სექტემბრის 28-ს ოდესიდან ტფილისს ჩამოვიდა ებრაელი რაშკევიჩი, რომელმაც ჩამოიტანა ვასასყიდად 30,000 მან. ბრილიანტი. ოქტომბრის 5-ს რაშკევიჩი შუაბაზარში წავიდა ბრილიანტების ვასასყიდად და მას შემდეგ არ დაბრუნებულაო. პოლიციამ მაშინვე ბ-ნ პროკურორს აცნობა რაშკევიჩის დაკარგვა და თითონ სასამართლოს გამოემძიებლით ძებნა და გამოძიება დაიწყო. პოლიციამ ფიქრობს, რაშკევიჩი ქალაქ გარედ არსად წასულა და ამიტომ ეჭვიანობენ, რომ რაშკევიჩი სადმე მოუკლავთ და გაუძარცვამთ, რადგანაც მის ოთახში, სასტუმროში, რომელშიაც იგი ჩამოხტა, ძველი ტანისამოსის ვარდა ვერაფერი იპოვნეს. ფული, ვექსელები და ძვირფასი თვლები რაშკევიჩის თურმე სულ თან დაჰქონდა. ჯერ ვერც მკვლეელი და ვერც რაშკევიჩის გვაში ვერ აღმოუჩენიათ.

\* \* \* ჩაქვი: თავადი ვიაზემსკი, საუფლისწულო ქონებათა მთავარ-მმართველი იყო აქ და აქაური მამულები დაათვალიერა იმ აზრით, რომ

აქედგან ბევრს დაუნახავსო. სამწუხაროდ, ჩვენ ამ სიამოვნებას მოვაკლდით, რადგან არც სამავისო დურბინი გვქონდა და ცასაც ჩვენს დროს მოუწინა შუბლის შეკვრა.

ზედ მთაზედ ბევრი ვეძიეთ, მაგრამ ღირს შესანიშნავი ვერა ვიპოვეთ-რა. მხოლოდ ბევრგან შევხვდით მებისგან დამწვარ ქვებს — სადაც-კი მები დასცემია, იმ ალაგს ქვები სულ ატრუსულია. აღმოსავლეთისკენაც ერთი დიდი ლოდი ჰგდია და ჩვენ რომ ფეხშიშველად დედაკაცმა ამოგვისწრო, იმას აქ სანთელი დაენთო, აქ წმინდანი ასაფლავიაო და სალოცავად ამოვიდით ხოლმეო; მართლად სანთლის ნამწვავებით გაურულია ქვა ალაგ-ალაგ. ვინ იცის, ეს წმ. ლოდი რომელ დროისაა. იქმნება ქართველებმა აღმართეს აქ, როცა კერპთთავანისმცემლები იყვნენ, თორემ რომელი წმინდანი ვაგიუდებო აქ ამოსულიყო სასიკვდილოდ, მაგრამ ხალხის ფანტაზიამ, უეჭველია, უნდა ძალად მაინც დაპ-

ველობას, მაშინ როდესაც ეს თვით-მართველობა არ არის ღირსი გაცდხვისა. ჩემდა სამწუხაროდ ყველაფერს ვერ ვიტყვი ავადმყოფობის გამო...

ხმ. შაჰაზიზოვი. მეც უქეიფოდ ვარ-ყელი მტკიცე (ყველანი იცინიან.) ამის შემდეგ ხმ. ევანგელოვმა დიდხანს ილაპარაკა მასზედ, თუ როგორის კრიტიკის თვლით უყურებდნენ გამგებობას ხმონები უწინდელ საბჭოთა, რამოდენა კილვა იყო საზოგადოებასა და ვაზეთებში, მაგრამ გამგებობა მაინც თავის საქმეს სინი-ლისიერად ასრულებდა. მოიყვანა მაგალითები თვით-მართველობის მოღვაწეობისა ხალხის განათლების საქმეში, ქალაქის შემოსავლის მომატებაში, დასახელა ხიდების მომართვა, მილის წყლის გამოყვანა და სხვები, რითაც ამტკიცებდა, რომ ჩვენი გამგებობა კილვის ღირსი-კი არა, მაღლობის ღირსიაო.

ხმ. შაჰაზიზოვი ითხოვა უფლება დაწვრილებით გაარჩიოს შემდეგისათვის დიფირამბი, რომელიც უძღვნა ორატორმა ქალაქის თვით-მართველობას. ცხარე ბასი გამოიწვია ამ აზრზე. ზოგი ხმონანი ამბობდა, რომ ხმ. შაჰაზიზოვს საყვედური გამოეუცხადოთ იმ საწყენ სიტყვების ხმარებისთვისო, რადგან ესეითი განაჩენი: მოვისმინეთ-რა წინადადება ხმ. ევანგელოვისა, შევედგეთ განხილვას მორიგ საქმეთაო.

მეორე ასეთივე მწვავე საგანი იყო განხილვა კომისიის ოქმისა შესახებ სახელოსნო სასწავლებლის მაშინისა, რომელიც ქალაქმა იყიდა ხმ. კარა-პეტრვისაგან და რომლის გამოც წარსულ კრებაზედ ხმ. ა. ს. ბაბოვმა სიტყვა, რომ ეგ მაშინა ძველი და უფარგისიაო. კომისიის ოქმი ამტკიცებს, რომ მაშინა არ არის ნახმარი, მკვიდრია და იაფადაც უშოვნია გამგეობასაო. შემდეგ ცხარე ბასისა, საბჭომ დაადგინა მოსპოს ყოველივე წარმოება ამ საქმის შესახებ.


დასასრულ უნდა განეხილათ საჩივარი სათავად-აზნაურსა საადგილ-მამულსა ბანკის მმართველობისა მასზე, რომ ქალაქის გამგებობა არ აძლევს ნებას ელექტრონით გაანათონ სასახლის ქუჩის სახლები კერძო კაცებისა. საბჭომ დაადგინა გარდაეცეს ეს საჩივარი იურისტ ხმონათა, რომელთაც უნდა თავიანთი აზრი წარმოუდგინონ საბჭოსა.

კრება დაიშალა დამის 12 საათზე. მდ. არაგვის სახელი? უწინ, როდესაც ეს მხარე თათარს ეჭირა და როდესაც საქართველოში ბატონ-ყმობა მძინვარებდა, მაშინ განუწყვეტელი მოგზაურობა იყო: თათრების ხელში ქრისტიანობისთვის დევნილი ქართველები საქართველოსკენ გარბოდნენ და საქართველოდგან კიდევ ბატონ-ყმობისაგან სიცოცხლე გამოწარებულნი აქეთ გადმოვარდებოდნენ ხოლმე. ჩვენის აზრით, ამით უნდა იხსნას ბევრი ამ გვარი სახელები სოფლისა და აგრეთვე ერთი და იგივე გვარები აქ და ქართლში. მაგალითად, აბაშიძეები, ხილირბეგიშვილები, ავალიშვილები, ფალავანდიშვილები და სხვა. ესენი აქ მუსულმანები არიან და ქართლში — ქრისტიანები. გლეხობაშიაც ამ გვარად ერთის გვარისას ბევრს შევხედებოთ. არც ის გარემოებაა ინტერეს-მოკლებული, რომ ქილდაში და ბევრ სხვა სოფლებში იმისთანა ქართველ ოჯახს შევხედებით, სადაც ერთი ძმა ქრისტიანია და მეორე ძმა

მუსულმანი. აღმოჩნდა, რომ როდესაც 1828 წ. მარიაპოლისთვის 15-ს პასკევიჩმა ახალციხე აიღო, მაშინ მთელ ჯავახეთის და სამცხე სათაბეგოს ხალხს მოუყარეს თავი ახალციხეში. პასკევიჩმა თავისი ჯარი, ბაირანები და მღვდელ მთავარი ერთს მხარეს დააყენა და მეორე მხარეს მოლები იდგნენო, მერე დიძახესო, ვისაც ქრისტიანობა უნდა, რუსის ბაირალისკენ გაიქცეთო და ვისაც მუსულმანობა გინდათ, მოლებისკენაო. ამ დროს აირია თურმე მონასტერი, არავინ იცოდა, ვინ რას იქმოდა და მოხდა ისე რომ ერთი ძმა მოლებისკენ მიზნობდა და მეორე მღვდლებისკენაო.

სოფ. არაგვის სკოლის სახლი ძრიელ კარგი უდგია რკინით ნახური, მაგრამ ჯერ-კი არა სკალიანთ სწავლის დასაწყებად. ამ სოფელში ოთხმოც კომლზე მეტი სულ სომხებია დასახლებული.

ილ. ალხაზიშვილი (შემდეგი იქნება)



ფლის გვერდით ნაეკლესიარია და ციხეც არის. ციხის გვერდზედ ერთ ციხეც კლდეზე ერთი დიდი ქვა ძვეს. ეს ქვა ძველად ამ სოფლის შვიდ ძას დაუდგიათ ნიშნათ თავიანთის ვაჟაკობისა. ამ ციხეც კლდეზე ორსავ მხარეს კიბეა გაკეთებული წყალისაკენ. კიბის გვერდით ერთ ალაგას თონეცა სდგას. აქ გრაფინია უვაროვისამ საცეცხლურის ეგვიები იპოვნა მიწაში.

75, ეკლესია. 5 კომლი.  
76, დაკვანძვა. 7 კომლი. აქ ყალიბებს აქვთ ეკლესიის ასავლის კარის ფარდა. ეს ფარდა მოქსოვილია მოქარგულია ძველებურის ხელოვნებით ნაკერობით. ამ ფარდას ეგენი ხმარობენ რამზანის დროს. ამავს გარდა ქალებს ბევრი კიდევ სხვა ძველი ნივთები აქვთ თურმე შენახული, მაგრამ ამ ძვირფასს ნივთებზედ ცნობების შეკრება ძნელია; ამათი ქალები უცხო კაცს-კი არა, და თავიანთ კაცებსაც არ ეკარებინან ახლოს და ეს ძველი ნივთებიც ჩივბა მათში საიდუმლოდ.

77, ჯიშა. 15 კომლი. ამ სოფლიდან ერთი გზა ქვანის ხეობაზედ გადადის მთა-მთა. ტყეები სულ ნაძვით არის სავეს, ერთს ალაგას პატარა რკინის წყაროც არის. ამავ სოფლის შემოდ უდაბურს ტყეში სდგას პატარა მთელი ეკლესია.

80, გავასსეკვა. 10 კომლი.  
81, ჭაჭაშვილები. 20 კომლი.  
82, ხუჯა. დაბა ძველთაგანვე. 25 კომ. აქ ძველათ მშენებელი ეკლესია იყო; დღეს ამ ეკლესიის საძირკველზე, სწორეთ ეკლესიის ზომაზე ლამაზი ჯამე დაუდგამთ. ხულის ეკლესიის ჩუქურთმიანს ქვებს კაცი აქა-იქ შეხვდება. ჯამეს ქვეშ ორის არშინის ტოლა ეკლესიის კედლებია დატოვებული. ამ ეკლესიის გვერდით არის სასაფლაო ხიმშიაშვილებისა, რომელ სასაფლაოს გალავანიც შემოკრულია ნაეკლესიარის ქვევით; წინა კედელი ნაეკლესიარისა თლილის ქვით არის გაკეთებული. ხულაშვიტარის ძველის-ძველი ციხე შეფენის დროს გაკეთებული. შემდეგ ეს ციხე ახმედ ფაშამ დაქცივინა და სასახლედ გაკეთებინა. ეს სახლი დაქველ-დანგრეულია, ამ სახლის აბანოში ერთი მეტად ძველი ზორბა ზარბაზანიც გდია. ხალხმა ამ ზარბაზნის არაფერი იცის, თუ როდის და ვის მოუტანია. ხოჯა ნური ეფენდი ბერიძემ შემდეგი მიამბო ამ ციხეზე: ახმედ ფაშის ძმა ქორა უსენი ხიმინდი შვილი ძრიელ წინააღმდეგი იყო ოსმალის მთავრობისა. იმასა სურდა, რომ ეს მხარე ოსმალებისა არა ყოფილიყო. 3000 აქარელით ოსმალი ომი აუტყენა. ოსმალიმ ჯარი გამოგზავნა, ათი ათასი კაცი. ქორაუსენი ამ ციხეში იყო და აქედამ შეება მათ. საქმე გაუჭირდათ ოსმალით, მაგრამ ბოლოს სძლიეს და ქორაუსენი ბეგიც დაიჭირეს და სტამბოლს წაიყვანეს, სადაც მოსჭრეს თავი. ეს ციხე და სასახლეც მის შემდეგ დაანგრეს.

83, ქედება. 30 კომლი.  
ამ სოფელს მოსდევს ჩახატურის მთა, ბოდიშისა და უჩხითის მთა, ხულის პირდაპირ კატონის მთა, შუაში გზა გადადის ქვანისკენ, მერე მისდევს ბელეთის მთა. ჯორჯი-ყალეს ტყეში სდგას ერთი პატარა ეკლესია. ეს მთები გადადის შუა ხე-

ვამდის. ამის პირდაპირ, ხულის ზევით აღმოსავლეთის მხარეს არის ბელეთის ხეობა, რომელზედაც გავილის ქვანისის სახელმწიფო გზა. ხეობა მეტად მშენებელი, ჰავით, წყლით, ტყით, ხილით, მოსავლით და საქონლით. ამ ხეობის ახლოს დაიწყება აქარწყლის სათავე, მერე ხულის ხეობის და შემდეგ სრალტის წყალს ერთვის. აქეთ არის შემდეგი სოფლები:

84, გელაძე, 10 კომლი, თათრობის დროს აქედამ ბევრი წასულან საქართველოში.  
85, ავაბაძე 15 კომლი. ნაეკლესიარი არის, აქეთ ყველგან ნაეკლესიარს ნასაყდრალს ეძახიან.  
86, ღორჯოშვილი, 8 კომლი, ძველად აქ დიდი ციხე ყოფილა.  
1830 წელში დაუტყვევიათ ოსმალით.  
87, ჯუსტა 90 კომლი. ეკლესიაზე ჯამე დაუდგამთ. საკვირველი აქ ის არის, რომ ხალხის გადმოცემით, ყველა დაქციულს ეკლესიებზე ჯამეები სდგასო.  
88, ჰაქსაძე, 15 კომლი.  
89, კოსტას 10 კომლი. ამ სოფელს ზემოდ დიდ გორის ტყეში, საციხურისკენ ნური ეფენდი მითხრა, რომ ერთ თლილი ქვის დიდი ეკლესიის ნანგრევი სდგასო.  
90, მანაყაია. 30 კომლი. მშენებელი სოფელია.  
91, დოგანისა, 15 კომლი. ძველად აქ ყოფილა კარგი ეკლესია. სოფლებს დაუტყვევიათ და ხოჯისთვის სახლი გაუკეთებიათ.  
92, ტახაშვილი, 8 კომლი.  
93, ბოჯაური. 20 კომლი.  
94, ბეღელია. 30 კომლი. ამ სოფლის ტყეში პატარა ეკლესიის ნანგრევი არის.  
(დასასრული იქნება.)

### ნარკვევა

(თურნალ-გაზეთებიდან)

წინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს კარგად მოაწყოს რუსეთის დასავლეთ მხარეში გადასახლებულ რუსთა საქმე. ამის გამო გაზეთი **Моск. Вѣд.** ურჩევს მთავრობას: პირველად საქმითა, რომ ახალმოშენი მხოლოდ რუსნი იყვნენ; მეორე, რაც შეიძლება ბლომად და იმაზედ მეტი, ვიდრე აქამომდე იყო, და, მესამე, ნივთიერად უნდა უზრუნველ იყვნენ, რომ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდეთ იქაურ უცხო ტომთა უმრავლესობასთან, ე. ი. რუსნი ნივთიერ ხელმოკლეობის გამო არ ჩავარდნენ იქაურ მკვიდრთა ხელში, არამედ პირიქით, თითონ იქონიონ გავლენა იქაურებზედ.  
რუსთა სახელმწიფო სტიქიონს მტრობა ვერაინ უნდა გაუწიოს. იქაურები უნდა შევიწროვდნენ, რომ ადგილი დაუთმონ ხალხს, რომელიც ჩვენთვის მოჭარბებულია.  
შესაძლოა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ძალა ვინმარათ, ხოლო დიდს დაბრკოლებას-კი ვნახავთ, რადგანაც ჩვენ მივიცით იქაურებს ძლიერი იარაღი-საგლეხო ბანჯი.

გაზეთ **Крымъ**-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი მწერალთა მიმართ: ბევრი მწერალი ძლიერ დაუდევრად და გაუკვევლად სწერს, ჩქარობს და სცილობს, ეს ჩემი საქმე მალე მოვიშორო თავიდან. ეს კარგი არ არის. ამ შემთხვევაში დიდებულ მწერალთა მაგალითით უნდა ვიხელმძღვანელოთ. პუშკინი დასაბეჭდად აძლევდა მხოლოდ სუფთად გადაწერილს დედანსა, გოგოლიც ურჩევდა მწერალთ, წერილი შეიღვე-

მინც უნდა გადასწერათ, ვიდრე დასაბეჭდად გადასცემთ. მწერალს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ვიდრე მისი წერილი ასაწყობად გადაიქცევა, ჯერ რედაქციამ უნდა გასინჯოს და შეასწოროს. ამით ასოთ-ამწყობთ უფრო გაუჭირდებათ აწყობა.  
დასასრულ ზემოხსენებული გაზეთი მიჰმართავს მწერლებს და ემუდარება:

კარგად და გარკვევით სწერეთ დასაბეჭდი წერილები და ამით ცოტათი მანაც გაუადვილეთ ასოთ-ამწყობებს უშიშროდ ძნელი ჯაფა და შრომა.  
რა თქმა უნდა, ეს რჩევა დიდად კარგია და სასურველია მწერალს ყოველთვის ახსოვდეს ასოთ-ამწყობთა მძიმე ჯაფა და, რამდენადაც შესაძლებელია, ეცადოს ნაწერი იყოს გარკვეული და რედაქტორსაც ნაკლებად დასჭირდეს წითელი კარანდი-შით მუშაობა.

### რუსეთი

თამბაქოს მომყვანთა და მექარხნეთა კრებაზედ, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ა. ი. ანტონოვიჩის თავმჯდომარეობით, წარმოიქმნა ის აზრი, რომ თამბაქოს მომყვანთა გაქირებული მდგომარეობა სულ თამბაქოს მექარხნეთა ბრალიაო. ისინი სარგებლობენ კანონით, რომელიც ავალებს ყველა მექარხნეს იყიდოს ყოველ წლივ ბანდეროლი არა ნაკლებ 6000 მანათისა. რადგანაც, თუ არ დიდის თანხის კაცს, სხვას არავის შეუძლიან დააარსოს თამბაქოს ქარხანა, ეხლანდელ მექარხნებს თამბაქოს საქმე ძალად ხელთ უვდიათ და ისე აწარმოებენ, როგორც მოისურვებენ. პირი შეუკრავთ ეთმანერთში და ისეთი ფასი დაუდგიათ, რომელიც თამბაქოს მომყვანისთვის საზარალია. ყველას რომ შეეძლოს თამბაქოს ქარხნის დაარსება, ეს დიდად სასარგებლო იქნება მწარმოებლისთვისაცა და მომხმარებლისთვისაც.

მექარხნეები-კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ: ჩვენი დამოუკიდებელი ის არის, რომ ბევრნი ვართ და ეთმანერთს ვეცილებითო. ვერას გზით ვერ მოხერხდა როგორმე მორიგებულებენ ერთმანერთში და ერთს აზრს დასდგომოდნენ თამბაქოს მომყვანნი და მექარხნენი. ამის გამო სამი კომისია დაარსდა: ერთი თამბაქოს მომყვანთა გაქირებულ მდგომარეობის მიზეზს გამოიკვლევს; მეორე—მექარხნეებისას; ხოლო მესამე სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენელთაგან არის შემდგარი. სამივე კომისია ეხლავე შეუდგა თავის საქმეს.

### უცხოეთი

**საფრანგეთი.** ელისეს სასახლეში გამართულ სადილზედ რუსეთის ელჩმა ბარონმა მორენჰეიმმა შემდეგი სიტყვა თქვა: ვიდრე იმ სადილ-გრძელის წარმოსთქვამდე, რომელი-საც წრფელის გულით განიმეორებს მთელი საფრანგეთი და მთელი რუსეთი, ნება მიბოძეთ, ჯერ მადლობა გადაუხადო პრეზიდენტს იმ სიტყვისათვის, რომლითაც დღეს საფრანგეთის წარმომადგენელმა მიჰმართა ადმირალს აველანსა. ის დიდი პატივისცემა და მნიშვნელობა, რომელიც აქვს პრეზიდენტს, სრული თავმდე-

ბია იმისა, რომ აწინდელი დღესასწაული გამომატველია მთელის ერის სურვილისა და ჩვენდამი მეგობრობისა. ამიტომ თქვენ სადღეგრძელოზედ მხოლოდ ეს გვეთქმის: „გაუმარჯოს პრეზიდენტს საფრანგეთის რესპუბლიკისას“!

საფრანგეთის პალიატის პრეზიდენტმა კაზიმირ ჰერიემ მიჰმართა ადმირალ აველანს და უთხრა: პალიატა დიდად მოხარულია თქვენის მოსვლით საფრანგეთში და ბედნიერებად მიიჩნია, რომ მიემხროს იმ მეგობრულ გრძობას, რომელიც ეხლა ჰდვივის თითოეულ ფრანგისა და რუსის გულში. მთელის საფრანგეთის ერთან ერთად მივმართავთ დღეს მეფესა და ვუცხადებთ მას გრძობას მოწიწებით, ხოლო რუსეთის ფლოტსა, ჯარსა და მთელს ერს—გრძობას მეგობრობისას.

**ავსტრი-უნგარი.** პრაგაში საფრთხილო წესის შემოღების კანონპროექტის კითხვის დროს პირველად ლაპარაკი დაიწყო მლადონელების ორატორმა ეიმმა და, სხვათა შორის, სთქვა: მთავრობამ იქამდე გაამწვავა საქმე, რომ ეხლა მე თავს დამეცნენ, როგორც ჩემები, აგრედვე ბოჰემიის გერმანელნიც. ამ გვარად, მთავრობამ, მორიგების მაგიერ, უფრო გააღვია ამ ორ ერთა შორის სიძულვილი და შუღლი. გერმანელ-ნაციონალისტების დასის წევრი ბარეტიერი ძლიერა ჰკიცხვდა მთავრობის განკარგულებას, რადგანაც ეს განკარგულება მიმართულია ეროვნობის განვითარების წინააღმდეგაო. ამიტომო, —სთქვა ორატორმა,—ჩემი დასი წინააღმდეგი იქნება მთავრობისა. ამასთანავე ვიტყვი, რომ, თუ ვინცოთაა პალიატამ უარ-ჰყო მთავრობის განკარგულება, მაშინ მთავრობას უფლება არა აქვს ძალაში დასტოვოს თავისი განკარგულება საფრთხილო წესის შემოღებისა. ლიბერალთა დასის წევრმა გელსბერგმაც თითქმის იგივე განაცხადა და დასძინა ბარეტიერის სიტყვებს: ეხლა რომ ბოჰემიაში საქმის ვითარება ძლიერ ცუდია, ამაში მხოლოდ მთავრობაა დამნაშავეო.

გერმანიის ოფიციალური გაზეთები ამბობენ, რომ, თუ ვინცოთაა რეისსრატმა მთავრობის კანონპროექტი უარ-ჰყო, მთავრობას სრული უფლება აქვს რეისსრატის გარდაწყვეტილება სრულიად უყურადღებოდ დასტოვოსო.

**გერმანია.** გერმანულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ახლად დაარსებულ „მშვიდობიანობის საზოგადოებისა“ გერმანელთა მიმართ: ხელმწიფეთა ტახტიდან, პარლამენტების ტრიბუნებიდან ისმის ეხლა ხმა მშვიდობიანობისა. არავის არა სურს ომი. ვერც ერთი ერი ვერ იკისრებს პასუხის გებას იმ შედეგისას, რომელიც მოჰყვება ახალს ომსა, თუ ვინცოთაა მოხდა იგი. შეგვიძლიან ვსთქვათ აგრედვე, რომ ამ ეხმად ყველას ეშინიან ომისა. უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფოში დაარსდა საზოგადოებანი მშვიდობიანობისა. ამ საზოგადოებათა წევრთა რიცხვი ახლა ათასობით ითვლება. ამ საქმეში მხოლოდ გერმანია ჩამორჩა სხვა სახელმწიფოთ. ამიტომ ჩვენ დავაარსეთ გერმანიის სატახტო ქალაქში ახალი

საზოგადოება მშვიდობიანობისა და ვთხოვთ ყველას, ვინც-კი მოწადინებულია მშვიდობიანობას, დაწინააღმდეგე ომისა, მიემხროს ჩვენს საზოგადოებას, რომელსაც საზოგადოებათა წევრთა რიცხვი იმდენი იქნება, რომ იგი შეიქმნება ერის სურვილის გამომატველად, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაჰხედავს ომსა და თუ სახელმწიფოთა შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდა, თვით ეს საზოგადოებანი იტვირთებენ მედიატორეთა თანამდებობას, განიხილვენ საქმეს, მოარიგებენ ერთმანერთის უკმაყოფილო სახელმწიფოთ და ამით თავიდან ააცილებენ ომს.

### თეატრის მახინამ

ამ დღეებში პარიზის „Comédie française“ თეატრში წარმოადგინეს პალიერონის კომედია „Le monde ou l'on s'ennuie“. ეს კომედია 400 ჯერ ყოფილა თურმე წარმოდგენილი. პირველად წარმოადგინეს 1881 წელს. მასასადამე ყოველ წელიწადს 33 ჯერ ყოფილა წარმოდგენილი და ყოველთვის კარგი შემოსავალი ჰქონია თეატრს. მაგალითად, როცა 388-ჯერ წარმოადგინეს ეს პიესა, თეატრს 5,000 ფრანკზედ მეტი შემოსავალი ჰქონია.

### კომედია ნეკუნიისა — „ამხანაგია“

ეს პიესა მოსკოვში იყო წარმოდგენილი. ავტორს გამოჰყავს ორი მდიდარი მექარხნე ამხანაგი—პრივოლნოვი და ბოიჩუგინი. პრივოლნოვი კარგად განათლებული კაცია, სიმდიდრე განსვენებულ მამისაგან აქვს დარჩენილი. ბოიჩუგინი-კი უწინ უბრალო მუშა იყო, თავის შრომითა და მეცადინეობით გამდიდრდა და პრივოლნოვს ამხანაგად გაუხდა. პრივოლნოვი მხარჯავი კაცია და ამიტომ მისი საქმე ძლიერ ცუდად მიდის. ამით სარგებლობს ბოიჩუგინი და ერთის მდიდარის ვაჭრის ტუშილოვის შემწეობით ქარხანას თითონ ჩაიგდება ხელში და თავის ამხანაგს პრივოლნოვს მშრალზედ დასტოვებს. ამხანაგები ერთმანერთის მტრებად გადაქცივიან. ნამხანაგარ მტრებს შვილები ჰყავთ. პრივოლნოვს ქალი—საშა, და ბოიჩუგინს ვაჟი—დმიტრი. ამათ ერთმანერთი უყვართ და ჯვარს იწერენ. მშობელნი წინააღმდეგნი არიან. ახალგაზდა ცოლქმარნი თითონ იწყობენ საქმეს და კარგადაც მიჰყავთ, ასე რომ ცოტას ხნის შემდეგ ძლიერ კარგად შეუძლიანთ ცხოვრება. უკანასკნელ მოქმედებაში გამწყვრალი მშობლები შერიგდებიან, სტორიან, ერთმანეთს ჰკოცნიან და ყველაფერი მშვიდობიანად თავდება.

### ოფიციალური ცნობა ხოლმის შესახებ

ოქტომბრის 11-ს დილით მიხეილის საავადმყოფოში ხუთი ხოლმერთი ავადმყოფი იყო.  
ოქტომბრის 11 მათგან სამი მორჩა და გამოვიდა საავადმყოფოდან. იმავე დღეს საავადმყოფოში ორი გარდაიცვალა.  
გუშინ დილით მიხეილის და სამხედრო საავადმყოფოებში ხოლმერთი ავადმყოფი არ იყო, მხოლოდ რკინის გზის საავადმყოფოში-კი ერთი ხოლმერთი ავადმყოფი დარჩა.



ბაქოს გუბერნიის ბაქოში ოქტომბრის 7-ს ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა.

ოქტომბრის 8-ს, დილით, ბაქოში სულ 5 ხოლერით ავადმყოფი დარჩა. ერკენის გუბერნიის სურამლის მახარაში, როგორც დღევანით იუწყებიან, ოქტომბრის 8, ხოლერა განდა. მახარაში ხოლერით ავად გახდა 25 კაცი და მათგან 15 გარდაიცვალა, მათში ორი ყაზახი იყო.

სტავროპოლის გუბერნიის სხვა-და-სხვა ალაგებში ოქტომბრის 4-დამ 8-დე ხოლერით ავად გახდა 7 კაცი, გარდაიცვალა 5

გამოსაღები ცნობანი

როგორ შეიძლება ხეს ჭიანჭველს მოშორდეს. აურეთ კანისთვის და ჭკარტლი ისე, რომ ცომსავეთ გასდეს. ეს ცომა ხეს გარეშე შეიძლება ერთს გოჭის სიგანეზე და ჭიანჭველს ხესევე ეგადრება.

სასუნთქ კარგად ხეს გარეშე შეიძლება მოშორდეს. ჭიანჭველს ხესევე ეგადრება, მაგრამ პარველი სიშუალება უფრო უკარგობაა.

სასამართლოს მართანი

სენატმა ეხლახან გაარჩია საქმე გავით კასიის რედაქტორის სოკოლინსკისა. იმას პარალელბოდა, რომ ისეთი ცნობები დაჰბეჭდა თავის გაზეთში, რომლებითაც შეურაცხყო ბაქოს უფროსი ნოტარიუსი იზმაილოვი.

საქმე აი როგორ ყოფილა. „Каспий“-ში დაიბეჭდა ფელეტონი, რომელშიაც აწერილი იყო ვილაძე იზმაილის გამილდრების ამბავი. საზოგადოებამ იზმაილად იზმაილოვი იცნო, უფროსი ნოტარიუსი იზმაილოვმა საჩივარი მიართვა პროკურორს, დასახელებულ განეთის რედაქტორმა შეურაცხყოფა მომაცენა, როგორც მთავრობის მოხელისაო. პროკურორმა გამოძიების შემდეგ საქმე სამოსამართლო პალატას წარუდგინა.

პალატამ გაარჩია ეს საქმე და იზმაილოვისათვის არა სასურველი განაჩენი დაადგინა. „Каспий“-ს რედაქტორმა დაამტკიცა, რომ, რაკი ფელეტონში სთავილო რამ იყო თქმული ვილაძე იზმაილზედ, იზმაილოვს ნამდვილად ჩაედინა. სხვათა

შორის რედაქტორმა წარადგინა იმის საბუთები, რომ იზმაილოვს სახელმწიფო მიწები სხვებზედ უმტკიცებია, თუმცა სკოდნია, რომ სახელმწიფოა. ერთი ისეთი მამულიც დაუმტკიცებია, რომელიც წინად გაყიდულა, ხოლო ნასყიდობის ქალაქი მოუშლია სასამართლოს, რადგან ცი გაყიდული მიწა სახელმწიფო აღმოჩენილა, და სხვ. პალატამ სოკოლინსკი გაამართლა.

პალატის განაჩენს არ დაეთანხმა პროკურორი და საქმე სენატს წარუდგინა. სენატის ობერ-პროკურორმა ფონციმ სთქვა, რომ განსახილველი ფელეტონი ხელოვნურ მწერლობას ეკუთვნის, რომელშიაც შეიძლება გადაჭარბებულიც ბევრი რამ იყოს და მოგონილიც; ამასთანავე შეიძლება კერძო კაცს არაკი ეხებოდეს, არამედ საზოგადო ტიპი იყოს დახატული. რედაქტორმა სოკოლინსკიმ ფაქტები საკმარისად დასაბუთა და ამისათვის უნდა გამართლებულ იქნას. ხოლო პალატას თავისი განაჩენი ისე არ უნდა დაედგინა, თითქო დამნაშავეს სკამზედ იზმაილოვი იჯდა და იმას ასამართლებდაო. ბოლოს ობერ-პროკურორის ამხანაგმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ იზმაილოვის საქციელი, საქმის განხილვის დროს გამორკვეული, სენატს ეცნობოსო.

სოკოლინსკის ვექილმა სთქვა, რომ იმ გვარად განაჩენის დაწერა, როგორც ობერ-პროკურორის ამხანაგმა ბრძანა, შეუძლებელიაო, რადგანაც ფელეტონში ნოტარიუსის შეცდომებზედ-კი არ არის ლაპარაკი, არამედ ბოროტ-მოქმედებაზედ, და რომელიც ამასთანავე ჩადენილია საკუთარის სარგებლობისათვის. სოკოლინსკისათვის, როგორც რედაქტორისა და საზოგადო მოღვაწისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მართალ მოლაპარაკედ იქნას ცნობილი, რადგანაც მოგონილ ბოროტებას-კი არა სდევნიდა, არამედ ნამდვილს. იზმაილოვის მოქმედება უკანონოდ-კი არავის სჩვენებია, ნამდვილად უკანონო იყო და არისო. სენატმა დაამტკიცა განაჩენი პალატისა.

დებეშა

11 ოქტომბერი

პატიმარსაგინი. სახელმწიფო ხაზინის კონტროლიორის ანგარიშიდან სხანს, რომ შარშანდელის წლის ჩვეულებრივი და საგანგებო შემოსავალი წინა წლებიდან დარჩენილ ფულით ჩვეულებრივ შემოსავლის აღებამატება 54,794,325 მანათით. ეს ფული დარჩა სახელმწიფო ხაზინას და, როგორცა სურს, ისე მოიხმარებს.

პარიში. მაკ-მაჰონის დასაფლავების დღეს ინვალიდების ეკლესია თაღხებით იყო შემოსილი და მაკ-მაჰონის გერბებით მორთული. პანაშვიდს და დასაფლავებას დაესწრნენ: პარიჟის არქივისსკოპოსი, სადიპლომატო კორპუსის წევრნი და რუსეთის აფიცრები. მაკ-მაჰონის გვამი დასაფლავებს მარშალის საგვარეულო სამარხში. რუსეთის ეჟრნალისტთა დელეგაციამ დღეს ავრეში გვირგვინით შეამკო საცავი გამბეტას გულისა.

დღეს დილით რუსეთის აფიცრებმა სამხედრო მინისტრთამ ისაუბრეს. გუშინ ერაკი-კლუბში სადილი გაუმართეს აღმირალ აველანს. გენერალმა სოსიემ ვააცნო რუსეთის აფიცრებს პარიჟის გარნიზონის დებუტაცია. შემდეგ სამხედრო მინისტრი ძვირფას სტუმრებით წავიდნენ სამხედრო სასწავლებელში. გზაში ორთავ მხარეს გამწკრივებულნი იყვნენ სავინასტიკო, სამუსიკო და სხვა საზოგადოებანი.

Table with 4 columns: მან. კ., მან. კ., მან. კ., მან. კ. and rows of numerical data.

გამოსაღები ცნობანი

ტფილისიდან ბათუმს მიღის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ. ბათუმიდან ტფილისს მიღის. 9 52 წ. საღ. ტფილისიდან ბაქოს მიღის 1 ს. 20 წ. შუაღ. ბაქოდან ტფილისს მიღის. 5 ს. 50 წ. საღ. ტფილისსა და განჯას შუა. ტფილისიდან განჯას მიღის. 9 ს. 20 წ. საღ. განჯიდან ტფილისს მიღის. 1 ს. 30 წ. დილ. ტფილისიდან ხაზურს მიღის 3 ს. დ. ხაზურიდან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ. მიმოსვლა ცუცხლის გემებისა შავს ზღვაზედ ბათუმიდან გადას: ხუთ შაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსისკში კერჩში და ყველა ნავთსადგურში სამშაბათობით: ღამის 2 საათზედ.

ბათუმიში გადას: ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსისკსა და სოხუმით. ოთხ შაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსისკით. შარასკეთობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შევიდის.

განსახალგებანი

ბალახეულის კარბეკლი ხველების წამალი „ბეგუნი ბოსს“ ბ. სუმაღენისა, კიკეში უმთავრესი საწყობი ალექსანდრა Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში. ფასი რკინის კოლოფისა 25 კამ. M. (20-5)

გამოსაღები ცნობანი პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარ დინსკიოთისა

(გუგიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა. დილაობით იღებენ:

- ბ. ა. ნავასარდანი, 11-12 საათამდის იმათ, ვისაც სკირს სნეულეზანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი). ე. მ. ჩაქოანი, 9-10 1/2 საათამდის, სნეულეზანი: თვალის და ნერვებისა-ტანში ტკივილებისა. დ. გ. რუდკოვსკია, 10 1/2-11 1/2 საათამდის, სნეულეზანი: შინაგანი, ბავშვისა და დედათა სქესისა. ა. ფ. ზრატსკევიჩი, 11 1/2-12 1/2 საათამდის, სნეულეზანი: ყურს, ყელის და ცხვირისა. ა. ზ. კანაშკეტიანცა, 1-1 1/2 საათამდის, სნეულეზანი: შინაგანი და ბავშვისა.

- სადამოაობით მიიღებენ: ა. გ. ჩუბუკოვსკია, 5-6 საათამდის, სნეულეზანი: გულ-მკერდისა; ხშირად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს. ს. გურკო, 6-7 საათამდის, სნეულეზანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული. ბ. ა. ნავასარდანი, 7-7 1/2 საათამდის. ე. ა. ფანცანუსა, 7-7 1/2 საათამდის, სნეულეზანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორ შაბათობით, ოთხ შაბათობით და პარასკეობით. რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის - მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის. დირექტორი სამკურნალოსა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეების: რომელნიც შედ მოსდევნ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა, 12 თვეით. . . 10 მ.—კ. 6 თვეით . . . 6 მ.—კ. 11 ,, . . . 9 ,, 50,, 5 ,, . . . 5 ,, 50,, 10 ,, . . . 8 ,, 75,, 4 ,, . . . 4 ,, 75,, 9 ,, . . . 8 ,, —,, 3 ,, . . . 3 ,, 50,, 8 ,, . . . 7 ,, 25,, 2 ,, . . . 2 ,, 75,, 7 ,, . . . 6 ,, 50,, 1 ,, . . . 1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით, სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარე მესაგურებ უნდა დაიხარონ გაზეთისა შედეგისა ადრესით: Тифлисть. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“. თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვლა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაბ. თუ თთვის განმავლობაში დაკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მის მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდან გაეგზავნება. გა ცახადმა მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განსახალგებანის დაბმავისათვის: ა) მეოთხე გერგულად თითო ჟურნალისა 8 კამ., პირველზე—16 კამ. ბ) სრული უახსრეული გერგული 30 მანათი, სოლო პირველი გერგული—60 მანათი. რიცხვა სტრატეგებისა გამოიხარება იმას გეგობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭრს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

სელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელგაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული სელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. არ-დასახეულს სელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოივითეს, შერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასახეულთა სელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს. პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე. ფუტყბა იმყოფება: გუგიაში, ნავალოვის ქუჩაზე, თაგ. გრუზინსკისულის სახლში. № 21.

წიქვილის თვლები

თვლები ხორბლის წმინდად დასაფუტავად, ქატო ბრტყელი იქნება. ტარბინი (წყალის ამომყვანი) და ნავთით მომუშავე მანქანები „სლაპა“ (დიდება). В. В. Жуковский С.-Петербургъ 10. рота, 16.